საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4483/01
13/05/2020

4483-01-2-202005131639

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 5 მაისის N2-12/4753 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის საავტომობილო გზის 97 და 98-ე კილომეტრებზე, მდ. მოშევანზე არსებული სახიდე გადასასვლელების ნაცვლად ახალი სახიდე გადასასვლელების მშენებლობის პროექტს.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული ისეთი საქმიანობების განხორციელებას, რომლებიც ტექნიკურად ან/და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია, იგი უფლებამოსილია წარუდგინოს სამინისტროს საერთო სკოპინგის ანგარიში და მოითხოვოს ერთი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა ამ კოდექსის შესაბამისად. სკოპინგის ანგარიში არ მოიცავს საპროექტო ხიდებს (კმ 97-ზე და კმ 98-ზე) შორის არსებულ საავტომობილო გზას. ამასთან დოკუმენტში არ არის მოცემული ინფორმაცია რა ტექნიკური ან/და ფუნქციური კავშირი არსებობს ზემოაღნიშნულ ხიდებს შორის. მსგავსი კავშირის არარსებობის შემთხვევაში, არსებული სახიდე გადასასვლელების ნაცვლად ახალი სახიდე გადასასვლელების მშენებლობის სკოპინგის განცხადებებები წარმოდგენილ უნდა იქნეს ცალ-ცალკე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით ასევე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი საკითხები:

- სკოპინგის ანგარიშში სახიდე გადასასვლელების საპროექტო გადაწყვეტილებებში, განხილულია ხიდი კმ 97-ზე და მის მდებარეობასთან დაკავშირებით მითითებულია კმ 97 პკ139+30.57, ხოლო კმ 98-ზე დაგეგმილ ხიდთან დაკავშირებით მითითებულია - კმ 98 პკ140+79.07. ვინაიდან წარმოდგენილი shp ფაილების მიხედვით ხიდებს შორის მანძილი მიახლოებით 100 მეტრს შეადგენს, ხოლო წარმოდგენილი ინფორმაციით 2 სახიდე გადასასვლელის განთავსება იგეგმება 97-ე და 98-ე კილომეტრებზე, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ხიდებს შორის მანძილი და shp ფაილები;

- სკოპინგის ანგარიშში (3.13 კუმულაციური ზემოქმედება) აღნიშნულია, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გაცემული დავალებების შესაბამისად ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის საავტომობილო გზაზე დაგეგმილი პროექტი ითვალისწინებს ერთი არსებული ხიდის რეაბილიტაციას 96-ე კმ-ზე. აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ დაზუსტებას საჭიროებს თუ რა ეტაპზეა დაგეგმილი 96-ე კმ-ზე არსებული ხიდის რეაბილიტაცია და რა კავშირშია აღნიშნული სახიდე გადასასვლელი წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშთან;
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ხიდების ერთიანი სქემა, სადაც ნაჩვენები იქნება ყველა საპროექტო ნაგებობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს სამინისტროში კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე